# სახვალიო გამარჯვებათა საფუძველი

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 8 სექტემბერი.

"დინამო" (თბილისი) – "მეტალისტი" (ხარკოვი) 1:0 (0:0).

"დინამო": მჭედლიძე, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, მესხი (კაკილაშვილი), ცავა, შენგელია.

"მეტალისტი": გრიშკო, კაპლუნი, პოტოჩნიაკი, კოსოლაპოვი (დოლჟენოვი), კამარზაევი, გორბიკი, ტკაჩენკო, სუსლო, ლინკე, ბერნიკოვი, კრამარენკო (იაკუბოვსკი).

მსაჯი: ა. შევჩენკო (მოსკოვი).

გაფრთხილებულია კოსოლაპოვი.

გაცილებით იოლია მატჩის ანგარიშის წერა, როცა თადარიგში ორი და სამე დღე გაქვს, მაგრამ ამ გაიოლებას თან ერთგვარი უხერხულობაც სდევს - მორიგი თამაში კარზეა მომდგარი, შენ კი მკითხველს ცოტა არ იყოს მოძველებულ საფეხბურთო ფაქტზე ესაუბრები.

იქნებ სხვაგვარად გვესინჯა? იქნებ გვერდი აგვევლო წესისა და ტრადიციისათვის და ვთქვათ, მთელი წლის საფეხბურთო ცხოვრების ფონზე შეგვეხედა ამ კონკრეტული მატჩისათვის?

თბილისის "დინამოს" უკანასკნელი წლების წარმატებებით განებივრებულ მაყურებელს, ბუნებრივია, ვერ დააკმაყოფილებდა "მეტალისტთან" ნათამაშები მატჩის ხარისხი, მაგრამ საქმე ის არის, რომ ყველაფერ ამას თავისი მიზეზები აქვს. ერთი სიტყვით, ის მინდა ვთქვა, რომ გუნდის დღევანდელი სახე და ბოლოდროინდელი მოვლენები ერთმანეთს სავსებით შეესაბამება.

ევროპის თასის მფლობელთა ტურნირში გამარჯვების შემდგომ პერიოდს მძიმეს, კრიზისულს რასაკვირველია ვერ დაარქმევ - შარშანდელი სეზონი გუნდმა ურიგოდ არ დაასრულა, წლევანდელ ჩემპიონატში კი, როგორც ჩანს, თბილისელები რომელიმე ხარისხის მედალს უთუოდ მოიპოვებენ. თუმცა, ისიც ცხადია, რომ საკმაოდ ობიექტური მიზეზების გამო დღევანდელი "დინამო" ძველებურად ვეღარ თამაშობს.

ეს ობიექტური მიზეზები ყველასთვის ცნობილია. გუნდი, ფაქტიურად ერთადერთმა ფეხბურთელმა დატოვა, მაგრამ ფეხბურთელიც არის და ფეხბურთელიც. ეს დანაკლისი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ "დინამოს" სათამაშო სქემა საფუძვლიანად დამსხვრეულიყო. უკვე ნაცადი სქემისთვის ახალ შემსრულებელთა გამოძებნას დრო სჭირდება. ისიც ნათელია, რომ თბილისის "დინამოს" მწვრთნელთა ლაბორატორიაში საკმაოდ მოიძებნება საფეხბურთო იდეები. რესურსები კი ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელების სახით გუნდს არ აკლია.

საგანგაშო მართლაცდა არაფერია. ფეხბურთის ისტორია არ იცნობს გუნდს, რომელსაც თუნდაც გაუგონარი აღზევების შემდეგ მარცხისა და დაქვეითების სიმწარე არ ეგემოს. ეს არის, ზოგი საკმაოდ დიდი ხნით მოსცილებია რჩეულთა კრებულს, ზოგსაც შედარებით მალე უპოვნია საკუთარი თავი. ერთნი ხანგრძლივ კრიზისს ჩაუთრევია, მეორენი დროებით წარუმატებლობას აუცდენია მთავარი გზისთვის. თბილისის "დინამო" ბუნებრივია, გამონაკლისი არ არის, ადრე თუ გვიან ჩვენს გუნდსაც უნდა შეხებოდა ეს საყოველთაო საფეხბურთო კანონი. ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ფეხბურთის ქართველ მოყვარულებს ალბათ სულ სხვა რამ აფიქრებთ: როგორი იქნება ნაღდი შეფასება - სერიოზული კრიზისი თუ დროებით წარუმატებლობა?

ზუსტი დიაგნოზის დასმა თითო-ოროლა სპეციალისტს თუ ხელეწიფება. საამისო პრეტენზიები ამ სტრიქონების ავტორს, რა თქმა უნდა, არა აქვს, მაგრამ ზოგი მოსაზრების გამოთქმას წინ ალბათ არაფერი დაუდგება.

პირველი თითქმის ყოველთვის, როცა გუნდს სერიოზული კრიზისის პერიოდი ეწყება, როცა გუნდის სათამაშო პოტენცია შესამჩნევად ქვეითდება, ფეხბურთელები, რაკიღა ძალა აღარ მოსდევთ, უხეშობით ცდილობენ ფონს გასვლას, იოლად ღიზიანდებიან მეტოქისა თუ არბიტრის "შეცდომებით". საბედნიეროდ, "დინამოში" ამგვარი სიმპტომები არ ჩანს და ეს ფსიქოლოგიური სიმტკიცე ალბათ ყველაზე საიმედო გარანტიაა.

მეორე როგორც წესი, კრიზისის ვირუსი, ყოველთვის თუ არა, მეტწილად მაინც, ეგრეთ წოდებულ "ხანშიშესულ" გუნდებს დარევს ხოლმე ხელს. ამ მხრივ "დინამოში" ყველაფერი რიგზე იყო და იქნება კიდეც.

და მესამე. მართალია, უსისტემოდ და შემთხვევიდან შემთხვევამდე, მაგრამ თბილისის "დინამოს" თამაშში საკმაოდ ხშირად გაიელვებს ხოლმე ის ბრწყინვალე საფეხბურთო ეპიზოდები, რაც საშუალო და

დაქანების გზაზე დამდგარი კოლექტივისთვის ან მხოლოდ ოცნებაა, ან კიდევ გარდასულ დღეთა ტკბილი მოგონება.

ყველა ზემოთქმულიდან გამომდინარე გავბედავ და ვიტყვი, რომ რამდენადმე სერიოზულ კრიზისზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, რომ იმ სამომავლო გუნდს, რომელიც უეჭველია, არაერთ გამარჯვებასა და სიხარულს მოგვიტანს, სწორედ დღეს, ჩვენს თვალწინ ეყრება საფუძველი.

ოღონდ, ეს არის, დროა საჭირო, დრო, რომელსაც დარწმუნებული ვარ, ჩვენივე ფეხბურთელებისთვის, ჩვენივე გუნდისთვის უშურველად გაიღებს ობიექტური ქართველი გულშემატკივარი.

ახლა უშუალოდ მატჩზე. ხარკოველებმა მარტივ, მაგრამ როგორც შემდეგ გამოირკვა, საკმაოდ ეფექტურ საშუალებას მიმართეს: შენგელიას მეურვეობა იკისრა კამარზაევმა (№5), დანარჩენებიც მინდვრის საკუთარ ნახევარზე განლაგდნენ. თბილისელთა საჯარიმოში დროდადრო თუ გამოჩნდებოდნენ ლინკე და კრამარენკო. მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში მასპინძლებს არაფერი უღონიათ იმისათვის, რომ ფიზიკურად მართლაცდა მშვენივრად მომზადებული მეტოქისათვის რაიმე დაეპირისპირებინათ - წონასწორობის დასარღვევად დინამოელთა ტექნიკური უპირატესობა საკმარისი არ გამოდგა. მატჩის დასაწყისში შენგელიამ რამდენჯერმე სცადა ცენტრალური ზონიდან გაეტყუებინა კამარზაევი. ჯერ იყო და "დინამოს" ნახევარმცველებმა ვერ შენიშნეს თუ ვერ ისარგებლეს ამ მანევრით, მერე კი სტუმართა სტოპერმაც იგრძნო საფრთხე და... ისე იოლად აღარ ეგებოდა ფანდზე.

როგორღაც ეულად თამაშობდა პირველ ტაიმში თბილისელთა მეორე ფორვარდი მესხიც. ახალგაზრდა ფეხბურთელმა მაინც მოახერხა "მეტალისტის" კართან რამდენიმე სახიფათო მომენტის შექმნა, თუმცა ეს მცდელობა ალბათ უფრო ნაყოფიერი გამოდგებოდა, დინამოელ ნახევარმცველებს მარცხენა ფლანგისთვის მეტი დრო და ყურადღება რომ დაეთმოთ.

ამ მხრივ ვითარება ერთგვარად გამოსწორდა მეორე ტაიმში. თანაც თბილისელებმა უფრო აზარტულადაც შეუტიეს და 54-ე წუთზე მარცხენა ფრთიდან მესხის ძლიერი ჩაწოდების შემდეგ შენგელიამ თავით ლამაზი გოლი გაიტანა.

შემდეგ "დინამოს" კიდევ ჰქონდა გოლის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა. და საერთოდ, ანგარიში უთუოდ სხვა იქნებოდა, მთავარ არბიტრს ელემენტარული საპენალტო სიტუაციები სწორად რომ შეეფასებინა.

მოგებული მატჩის შემდეგ ხელის ჩაქნევა იმ დაკარგულ პენალტებზე რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ ფეხბურთიცა და სპორტული სამართლიანობაც უსათუოდ მოიგებს, თუ ისინი, ვისაც ევალება და ხელი მიუწვდება, გულით იზრუნებენ იმისათვის, რომ ამგვარ ფაქტებს ცენტრალური პრესის ფურცლებზეც მოეძებნოს ადგილი.

**ი. ბერიაშვილი.**
**"ლელო", 11 სექტემბერი, 1982 წ.**